პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 112 (6167)

1978 წ. 10 ივნისი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совета Министров ГССР и республиканского; Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბავშვთა ჯანმრთელობას მეტი ყურადღება

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის, დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და გამოსულმა დეპუტატებმა, განათლების სამინისტროს, თბილისის განათლების განყოფილების, სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თბილისის ფიზკულტურულმა და განათლების ორგანოებმა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბოლო ხანს მეტი ყურადღება ეთმობა სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებას. ყველა სკოლაში შემოღებულია მეცადინეობის დაწყების წინ დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ხოლო დიდ შესვენებაზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშებთან ერთად — თამაშობები, რაც ხელს უწყობს სასწავლო დისციპლინის განმტკიცებას, და ზრდის მოსწავლეთა შრომისუნარიანობას.

გარკვეული ღონისძიებები ტარდება სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გასაფართოებლად, მიმდინარე სასწავლო წელს მწყობრში ჩადგა ხუთი ახალი სპორტული დარბაზი, 23-ე საშუალო სკოლასთან მოეწყო სპორტული მოედნები, ქალაქის ხუთ საშუალო სკოლაში — სპორტული ტირი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი საცურაო აუზი. კაპიტალურად შეკეთდა 69 სპორტული დარბაზი და 56 სპორტული მოედანი. გარკვეული მუშაობა ტარდება მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მოსამზადებლად.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ.

არსებულ სპორტულ ნაგებობათა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. თბილისის 162 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან მხოლოდ 96-შია სათანადო პირობები სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ორცვლიანი და სამცვლიანი მუშაობა მნიშვნელოვნად აფერხებს კლასგარეშე სპორტულ მუშაობას.

სათანადოდ არ ხდება მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება, რომელიც ხშირად 4-6 თვის მანძილზე გრძელდება, ეს კი აფერხებს სამედიცინო ჯგუფების დროულად შედგენას. ამის გამო სასწავლო წლის პირველ ნახევარში მოსწავლეთა უმრავლესობა ფიზკულტურის გაკვეთილებზე დაშვებულია სათანადო სამედიცინო შემოწმების გარეშე.

მე-8, 63-ე და 136-ე სკოლებში საერთოდ არ არის შექმნილი სპეციალური სამედიცინო ჯგუფები. ზოგიერთ სკოლაში სექციური მეცადინეობა ტარდება საექიმო მეთვალყურეობის გარეშე. ხშირია ფიზკულტურის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა არასწორი განთავისუფლება, რაც ზოგჯერ მასობრივ ხასიათს იღებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სათანადოდ არ მარაგდება სპორტული იარაღებითა და ინვენტარით. ამ დანიშნულებისათვის გამოყოფილი თანხები ხშირად აუთვისებელი რჩება.

სერიოზული ნაკლოვანებებია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეში, თბილისის არც ერთ სკოლას არ შეუსრულებია მშდ კომპლექსის ნორმატივების გეგმა, რადგან მოსწავლეთა 80-90 პროცენტმა არ იცის ცურვა. ეს კი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ძალზე ცოტა გვაქვს საცურაო აუზები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სექციურ მუშაობას, რაც ხელს უშლის მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, განსაკუთრებით მძლეოსნობაში. თბილისში არსებულ 162 საშუალო სკოლიდან მძლეოსანთა სექციები მხოლოდ 49-შია შექმნილი.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის განპირობებული, რომ სკოლების დირექტორები, განათლების განყოფილებები, ფიზკულტურისა და სპორტის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

ჭადრაკი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა, რომელიც ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის კულტურის სახლში მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება.

XVI ტურში ქ. მელაშვილმა მოუგო გოგიას, თანდაშვილმა — იმნაძეს, გურგენიძემ — კახაბრიშვილს, ნ. მელაშვილმა — მუსერიძეს. მესხი — კობაიძის, ბელოზიოროვა — შეყილაძის, ჭირაქაძე — წერეთლის, ქასოშვილ — აბზიანიძის და ფაჩუაშვილ — ხუგაშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

უკანასკნელი, XVII ტურის წინ ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ხუგაშვილსა და წერეთელს აქვთ 13-13 ქულა, დებს ნ. და ქ. მელაშვილებს — 11,5-11,5, ხოლო კობაიძესა და მესხს — 11-11.

პოლონეთის ქალაქ პიოტრკოვტრიბუნალსკში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვა მასპინძელმა გ. შმაცინსკამ — 9 ქულა. ნახევარი ქულით ჩამორჩა მას და მეორე ადგილი დაიკავა ევროპის თასის მფლობელმა გოგონათა შორის, თბილისელმა ოსტატმა ნანა იოსელიანმა.

თანამედროვე ხუთჭიდი

კიევში თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე კიდევ ორი სახეობა ჩატარდა. ფარიკაობაში გაიმარჯვეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელებმა (ლ. მატვიენკო, ს. კოპილოვი, გ. იურასოვი) — 3000 ქულა. ორი სახეობის შემდეგ ისინი დაწინაურდნენ—6010 ქულა. პირად ჩათვლაში კი ს. კოპილოვი იყო წინ — 2133 ქულა. ხუთჭიდის მესამე სახეობაში — სროლაში გაიმარჯვეს ბელორუსიის დინამოელებმა (ვ. როგოვი, ვ. ბაშკევიჩი, ვ. სელინცევი) — 3022 ქულა. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ყაზახეთის „დინამოს" წარმომადგენელს ვ. სიჩოვს — 199 ქულა (1110 ქულა ხუთჭიდის ცხრილით).

სოფიაში დამთავრდა ახალგაზრდა ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი. პირად ჩათვლაში II ადგილზე გავიდა მოსკოველი ვ. ნეფედოვი — 5340 ქულა. გაიმარჯვა უნგრელმა კ. სიიმ — 5376 ქულა.



ბათუმის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის, სპორტსაზოგადოებების „დინამოსა" და „ვოდნიკის" საწყლოსნო სპორტის 250 მოყვარული ყოველდღიურად ვარჯიშობს გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ფრენბურთი

დასკვნითი შეხვედრა ტოკიოში

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა იაპონიის ქალაქ სიმონსუვაში მეორე მატჩი გამართა ქვეყნის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა — 3:0. მესამე მატჩი კიოტოში ამჯერად იაპონელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა ორი მატჩი წააგო, ხოლო ერთი მოიგო. დასკვნით შეხვედრას საბჭოთა ფრენბურთელები კვირას გამართავენ ტოკიოში.

სსრ კავშირის თასზე

კიდევ სამი მატჩი

7 ივნისს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „დინამო" და „ტორპედო". გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1.

კიევის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი" და დაძაბულ ბრძოლაში მიაღწიეს გამარჯვებას — 3:2.

დონეცკში ფრედ ითამაშეს „შახტიორმა" და ბაქოს „ნეფთჩიმ" — 1:1.

მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრები შედგება 21 ივნისს.

საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს

გაზეთმა „ტრუდმა" ჩაატარა სპორტულ მიმომხილველთა ტრადიციული გამოკითხვა ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის აპრილ-მაისის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად.

ხმების უმრავლესობით გათამაშების საგაზაფხულო ეტაპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი **რამაზ შენგელია.**

21 წლის ფორვარდი რ. შენგელია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია. შარშან იგი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა, სეზონის ბოლოს კი ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მიერ მესამე ნომრად შეიყვანეს „33 საუკეთესოთა" სიაში.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

სათადარიგო შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" თბ.	10	7	1	2	12—3	15
ცსკა	10	5	5	0	15—8	15
„ნეფთჩი"	10	5	4	1	13—8	14
„დინამო" კ.	10	5	3	2	15—11	13
„ჩერნომორეცი"	10	4	4	2	9—10	12
„დინამო" მ.	9	4	3	2	9—6	11
„ტორპედო"	10	4	2	4	15—8	10
„ფახთაქორი"	10	3	4	3	11—10	10
„არარატი"	10	2	6	2	12—10	10
„შახტიორი"	9	3	3	3	8—8	9
„ლოკომოტივი"	9	3	3	3	8—11	9
„ზარია"	9	2	3	4	9—16	7
„ქაირათი"	10	2	1	7	10—18	5
„დნეპრი"	10	1	3	6	10—15	5
„სპარტაკი"	10	1	3	6	7—2	5
„ზენიტი"	8	1	2	5	5—14	4

ფეხბურთი

II ლიგა

7 და 8 ივნისს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

„შირაკი" (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 5:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი)— „დინამო" (ზუგდიდი) 2:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „დილა" (გორი) 0:0, „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „ხაზარი" (ლენქორანი) — „დინამო" (სოხუმი) 2:1, „არაზი" (ნახიჩევანი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:1, „გასტელლო" (უფა) — „ზვეზდა" (პერმი) 0:2, „გაზოვიკი" (ორენბურგი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 2:0, „ტორპედო" (ტოლიატი) — „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) 3:1, „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) 0:1, „პროგრესი" (კიროვაბადი) — „დინამო" (კიროვი) 1:0.

პირველი ლიგა

7 ივნისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების 2 მატჩი. ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" მოუგო აშხაბადის „კოლხოზჩის" — 2:1, ხოლო დონის როსტოვის ასკ-მ — „ორჯონიკიძის „სპარტაკს" — 3:0.

სტატისტიკის მოყვარულთათვის

მოგვყავს ქუთაისის „ტორპედოს" მიერ გროზნოს „თერგთან" 6 ივნისს ჩატარებული I ლიგის საკავშირო გათამაშების მატჩის ტექნიკური მონაცემები:

„თერგი" (გროზნო) — „ტორპედო" (ქუთაისი) **2:0 (0:0).**

„თერგი": დარვინი, ზაიდინოვი, სინკო, დენიევი, შულაევი, კალეშინი, ჩიხლაძე, ხოხლენკო, ტიაპკინი (ლიტვინოვი), სოკოლოვი, იაკუშკინი.

„ტორპედო": მჭედლიძე (მ. კვერნაძე), ზ. სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია (თ. სვანაძე), თევზაძე (ა. კვერნაძე), შელია, ხუცურაული.

მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

გოლები: კალეშინი (49-ე წუთი), იაკუშკინი (57).

გაფრთხილებული არიან ქვირია, კალეშინი.

დუბლიორები — 1:2.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. დუბლიორთა საკავშირო გათამაშება. „ლოკომოტივის" სტადიონი. 10 ივნისი. „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი). დასაწყისი 18 ს.

მხოლოდ ოთხი გუნდით?!

საქართველოს პირველობა

ახლა ტყვიის მსროლელთა მთელი ყურადღება ოლიმპიურ ვარჯიშებში სპორტის ოსტატების რიგების ზრდისა და მათი ტექნიკის სრულყოფისკენ არის მიპყრობილი. ეს გასაგებიცაა— მოსკოვის ოლიმპიადაზე ხუთ ვარჯიშში მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდება. რა თქმა უნდა, რესპუბლიკური და საკავშირო (აღარას ვამბობთ საერთაშორისო ტურნირებზე) შეჯიბრებებიც ახლა უმეტესად ოლიმპიური რეგლამენტით ეწყობა.

ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობას — საქართველოს ჩემპიონატს — სოხუმის „დინამოს" სასროლეთი ხუთ დღეს მასპინძლობდა. აქ მხოლოდ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენები შეგროვდნენ (სულ ცეცხლის ხაზზე 38 კაცი გამოვიდა).

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების იმ ეტაპზე, რომელიც გადამწყვეტ სტარტებს ერთი წლით გვაშორებს, მონაწილეთა ასეთი სიმცირე დასანანია. მაგრამ შეიძლებოდა თუ არა ეს ციფრი რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენთა ხარჯზე გაზრდილიყო? არა, რადგან ტყვიის სროლის განვითარებისთვის თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის გარდა, არსად არაფერი კეთდება, დოსააფის, ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტები ამ მიმართებით არ ზრუნავენ. ის კი არა, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებშიც (რუსთავში, გორში, ზუგდიდში, ფოთში და სხვებში) ამისთვის თავს თითქმის არავინ იწუხებს. ზოგ მათგანში დოსააფის ორგანიზაციები ახალგაზრდებს მხოლოდ მშრ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ცოდნას აძლევენ, სხვებში ამასაც მოკლებულნი არიან.

ამ ფონზე მისასალმებელია ბათუმელი მწვრთნელის ო. მელიას მონდომებული მუშაობა. საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის ორმა აღსაზრდელმა სოხუმში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი: სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. სალამატინმა („კოლმეურნე") მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლით 595 ქულა მოაგროვა. მისმა თანაგუნდელმა ს. წულუკიძემ კი ამავე იარაღით სტარტზე (3X40) ასპარეზობაში — 1145 ქულა.

მესამე სპორტსმენი, რომელმაც ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა, სოხუმის დინამოელი ზ. ჯანჯღავა (მწვრთნელი ვ. ახალაძე) იყო. 18 წლის ჭაბუკმა 600 შესაძლებლიდან იმდენივე ქულა (595) მოაგროვა, რამდენიც ბათუმელმა, 21 წლის სალამატინმა და ჩემპიონის სახელიც მოიპოვა (ჯანჯღავამ სალამატინს ბოლო სერიებში აჯობა). აღსანიშნავია, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში III ადგილიც აფხაზეთის გუნდის წევრს ი. ჯოლიას („კოლმეურნე", 590) ერგო.

რაც შეეხება სტანდარტზე სროლას, მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ჯანჯღავას (1132 ქულა) და ქუთაისელ დ. ხაჭაპურიძეს („განთიადი") — 1116. როგორც ხედავთ, პრიზიორთა შედეგებშიც კი დიდი სხვაობაა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ 15 სპორტსმენის შეჯიბრებაში ბოლო ადგილზე გასული სპორტის ოსტატობის კანდიდატი, თბილისის არმიელი ს. ავეტისიანი ჩემპიონს 97 ქულით ჩამორჩა (?!).

„გაქცეულ ტახზე" სროლაში მონაწილეთა შედეგებიც ძალზე უთანაბრო გახლდათ. იმის გარდა, რომ სპორტის ოსტატის ნორმატივი მარტო ორმა კაცმა გაიმეორა, მესამე პრიზიორიც კი ლიდერებს ძალიან ჩამორჩა: თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ს. ქუსიკაშვილმა (ასკ) 571 ქულა მოაგროვა, სოხუმელმა ოსტატმა ა. გოროდიაკინმა („ბურევესტნიკი") — 570, მეორე სოხუმელმა კ. უბირიამ მხოლოდ 539 ქულა აჩვენა. „ტახზე" უფრო ცუდი მონადირეები გამოდგნენ აჭარის გუნდის წევრები ა. აკოფოვი და ა. ჟღენტი, რომლებმაც ჩემპიონთან შესაბამისად 118 და 159 ქულა წააგეს.

სოხუმელი ექიმი, დინამოელი მ. პაპავა ჩვეულ საბრძოლო ფორმაშია. იგი ერთადერთი იყო, რომელმაც კვლავ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 573 ქულა მოაგროვა, 26 ქულით მეტი, ვიდრე II პრიზიორმა, სოხუმელმა ოსტატმა ვ. ხელეცკიმ („დინამო"), III ადგილი ერგო დ. თიკანაძეს (ბათუმი, „დინამო") — 538.

პისტოლეტის სწრაფსროლაში ბადალი არ ყავდა თბილისელ მ. ქამურაშვილს („კოლმეურნე"). იგი განსაკუთრებით სტაბილურად ასრულებდა ვარჯიშის მეორე ნახევარს — სამივე სერიაში 100-100-დან მხოლოდ თითო ქულა დაკარგა და საბოლოოდ 600 შესაძლებლიდან 591 ქულით გაიმარჯვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მასპინძლები ხელეცკი (587) და კ. იურიევი (583).

გუნდურ ჩათვლაში ქულებს ის სპორტსმენები იძლეოდნენ, რომლებიც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს მაინც შეასრულებდნენ. მთელ ასპარეზობაში ასეთი სულ 12 კაცი აღმოჩნდა.

გუნდური გამარჯვება აფხაზეთის კოლექტივს დარჩა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის, აჭარისა და ქუთაისის სპორტსმენები.

პარალელურად იმავე ვარჯიშებში გაიმართა საქართველოსა და ტაჯიკეთის ნაკრებთა მატჩი. მასპინძლებმა ოთხ ვარჯიშში იმარჯვეს, ხოლო ერთში — „გაქცეულ ტახზე" სროლაში სტუმრებმა 1702 ქულა მოაგროვეს (სამი სპორტსმენის მაჩვენებლით) და 22 ქულით აჯობეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს. პირად პირველობაში სტუმარმა გ. სოტსკოვმა 575 ქულა მოაგროვა, ვ. კოსტირიამ — 572. მასპინძლებიდან საუკეთესომ ქუსიკაშვილმა კი 571 ქულა აჩვენა.

ო. ივლოშვილი.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი დედაქალაქის მძლეოსნობის, ფეხბურთის, რეგბის, მშვილდოსნობის და სხვა სახეობის მოყვარულთა ძირითად საწვრთნელ ბაზას წარმოადგენს. აქ ხშირად ნახავთ, აგრეთვე, ავია და ავტომოდელისტებს. ისინი აქ ეუფლებიან სპორტის სახეობათა საიდუმლოებას, ხვეწენ და სრულყოფენ ტექნიკას.

სურათებზე: ზევით — რბენაში მოვარჯიშე მოზარდთა ჯგუფი; ქვევით — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მრავალჭიდელი ვ. შელიძე ჭოკით ხტომაში ვარჯიშის დროს.

გ. კიკვაძის ფოტოები.
(საქინფორმი).

იზრდება პროპაგანდისტთა რიგები

მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების პარალელურად, ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ღრმა შინაარსს იძენს. ამიტომაც ბუნებრივია საზოგადოებრიობის გაზრდილი ინტერესი ფიზკულტურასა და სპორტზე კვალიფიციური ინფორმაციის მიღებისადმი. ეს საკითხი თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში. მაგრამ სად უნდა მომზადებულიყო ახალგაზრდა კადრები? არჩევანი ფიზკულტურის ინსტიტუტზე შეჩერდა. მას შემდეგ, რაც ამ ინსტიტუტში საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტი შეიქმნა, ოთხი წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში ლექტორ-პროპაგანდისტისა და სპორტული ჟურნალისტის მოწმობა მიიღო 80-მდე სტუდენტმა.

ამ დღეებში კიდევ ერთი ღირსახსოვარი მოვლენა აღინიშნა ფაკულტეტის ცხოვრებაში — ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მასწავლებლებმა და უმცროსმა კოლეგებმა კურსდამთავრებულთა კიდევ ერთ ჯგუფს დაულოცეს შემოქმედებითი გზა.

ინსტიტუტის კლუბში მოეწყო სტუდენტთა სასწავლო კედლის გაზეთებისა და ფოტონამუშევრების გამოფენა. სპეციალური სტენდები დაეთმო სტუდენტთა მიერ რაიონული და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ სწავლის პერიოდში ფიზკულტურისა და სპორტის მომავალ პროპაგანდისტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

წლევანდელი გამოშვების საზეიმო საღამო სხვა მხრივაც იყო გამორჩეული. დარბაზში ისხდნენ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანები, ადამიანები, რომლებმაც ამ ოთხი ათეული წლის წინათ პირველებმა დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. ვეტერანებთან ერთად მშობლიურ სასწავლებელში იმ დღეს მოვიდნენ ინსტიტუტის პირველი მასწავლებლებიც, აკადემიკოსი რ. ნათაძე, თ. სხირტლაძე, ვ. ჯაფარიძე, შ. ელიაშვილი და სხვები. სტუმრები აღტაცებულნი დარჩნენ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტთა აღზრდის ამ თვალსაჩინო კერის დღევანდელი ფართო პროფილით.

საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ საზეიმო შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ამ ფაკულტეტის დეკანი ა. ციბაძე, კურსდამთავრებულებს მიესალმნენ და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს ინსტიტუტის რექტორმა ა. მელიამ, პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. პაიჭაძემ, თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების წარმომადგენელმა გ. აბელიშვილმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ე. ჯიქიამ და ნ. ქინქლაძემ.

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, კურსდამთავრებულებმა და აღმზრდელებმა მეორე დღეს ერთობლივი ტურისტული ლაშქრობა მოაწყვეს წოდორეთში.

თ. ბაქრაძე.

ზრუნვას ნუ მოუკლებთ

საქართველოს ავტოკროსმენ[...] თანდათან მოიპოვებ[...] იკავებენ საბჭოთა კავშირის უძლ[...] ერეს სპორტსმენთა შორის. მა[...] ოსტატობა შეჯიბრებიდან შეჯი[...] რებამდე იზრდება. ამას წინათ ჩვ[...] ნი რესპუბლიკის წარმომადგენლ[...] მა ორ დიდ საკავშირო ტურნირ[...] სცადეს ძალა — რიაზანში მეთ[...] თხმეტე ტრადიციულ შეჯიბრებ[...] ასპარეზზე. სარბიელზე ქვეყნ[...] თითქმის ყველა უძლიერესი მრბ[...] ლელი გამოვიდა. მასპინძლები [...] ლას ექვსი გუნდით, ცდილნენ, [...] მათ რბოლის დროს ერთგვარ უპ[...] რატესობას აძლევდა.

საბოლოოდ I და II გუნდურ[...] ადგილები რიაზანელ სპორტსმე[...] ებს დარჩათ. III ადგ[...] ესტონეთის ქალაქ რეზეკნეს ნა[...] რები, ხოლო მეთოხეზე თბილის[...] ლთა გუნდი. ეს ჩვენი ავტოკრო[...] მენების დიდი წარმატებაა. გუნდ[...] ყველაზე მეტი ქულა მოუტანა [...] გაზაევმა, რომელმაც „ზილ-130[...] კლასის მანქანით 67 ეკიპაჟთან [...] ბრძოლაში VI ადგილი მოიპოვა.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლ[...] ერესი კროსმენი, თბილისელი [...] ახვერდოვი, რომელიც „გაზ-53[...] მანქანით ასპარეზობდა, დიდხან[...] მეორე მიდიოდა. მაგრამ ტრასაზ[...] შეჯახების გამო შეყოვნდა და შ[...] ტოქეებმა ორი წრით გაასწრეს. ამ[...] ის მიუხედავად, თბილისელმა სპო[...] რტსმენმა დარჩენილ დროში ვა[...] ჟკაცურად იბრძოლა. საბოლოო[...] მან IX ადგილის მოპოვება მოახე[...] რხა და გუნდს საკმაო ქულები მო[...] უპოვა.

უსიამოვნებას ვერც მეორე თბი[...] ლისელი ე. ხანჯიანი („გაზ-51") გ[...] დაურჩა — მოულოდნელად ვენტ[...] ლიატორის თამასა გაუწყდა და მ[...] ინც 72 ეკიპაჟთან ჭიდილში ფინ[...] შთან 16-ე მივიდა.

შემდეგ კუიბიშევში გამართულ[...] დიდ ტურნირში, რომელიც ქალა[...] ქების ნაკრები გუნდების მატჩის[...] სახელითაა ცნობილი, გაზაევმა IV[...] ადგილი მოიპოვა. თბილისის ნაკრ[...] ებმა გუნდურ ჩათვლაში წინ მხო[...] ლოდ სვერდლოვსკელები გაუშვ[...] სამაგიეროდ, უკან ჩამოიტოვა მო[...] სკოვის, კუიბიშევის, რიაზანის, ნო[...] ვოკუიბიშევსკისა და სხვათა კოლ[...] ქტივები.

ყველას მაინც ხანჯიანმა აჯობა. იგი თავისი მანქანით პირველ ადგ[...] ლზე გავიდა. გ. ჩიქოვანი კი „ზილ-130"-ით მეხუთე იყო. თბილისელ[...] თა წარმატებას ხელი შეუწყო გუ[...] ნდის ტექნიკური ხელმძღვანელის პ. ზვირიკისა და მექანიკოს გ. ნევ[...] ზოროვის გულმოდგინებამ.

ახლა საქართველოს ავტოკროსმენებს წინ აქვთ საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც სექტემბერში კუიბიშევში გაიმართება. იმისთვის, რომ იქ რესპუბლიკის სპორტული ღირსება გუნდმა წარმატებით დაიცვას, მას წვრთნისა და ტექნიკის სრულყოფის ყველა პირობა უნდა შეექმნას. საქმე იმაშია, რომ განვლილ შეჯიბრებებში ტექნიკა საკმაოდ მოძველდა, მანქანები აუცილებელ შეკეთებას საჭიროებენ, არც სათადარიგო ნაწილებია ქმარა.

ადრე ავტოკროსმენებს გადამწყვეტი სტარტებისთვის სამზადისში დიდ დახმარებას უწევდა თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი, განსაკუთრებით მისი დირექტორი გ. ზალდასტანიშვილი. ამჯერად დახმარებამ იკლო. უნდა ვივარაუდოთ, რომ „საქავტორემონტის" რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების შექმნა (გენერალური დირექტორი გ. კობალაძე), რომელშიც № 1 ქარხანაც შევიდა, საქართველოს სპორტსმენთა ნაკრებს თავის ზრუნვას არ მოაკლებს — წვრთნის ყველა პირობას შეუქმნის, მით უმეტეს, რომ სპორტის ტექნიკური სახეობები სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში გარკვეულ ქულებს იძლევა.

საქართველოს ავტომობილისტთა წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რომ ქუთაისის № 2653 ავტოკოლონის ხელმძღვანელობას საასპარეზოდ წასვლის უფლება მიეცა ისეთი ძლიერი სპორტსმენისთვის, როგორიც შ. ახალაძეა.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება თუ გადამწყვეტი სტარტებისთვის მზადებაში ჩვენს რესპუბლიკაშიც გაიმართება ავტოკროსმენთა საკავშირო შეჯიბრება.

გ. ქვათაძე.

დროული და საჭირო

მსოფლიოს ყველა ერს გააჩნია სხვისგან განსხვავებული საზოგადოებრივი ყოფის საკუთარი, თვითმყოფადი ისტორია. ამ ისტორიის ყველა ეტაპის წარმომადგენელთა უპირველესი ვალია თავის ერს, მომავალ თაობას შემოუნახოს მისი ყოფისა და ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენები.

ერის მიღწევებზე სხვადასხვა ყოფაცხოვრებისეულ დარგებთან ერთად, მეტყველებს მისი ფიზკულტურული და სპორტული მიღწევების დონე.

საქართველოს კარგი ტრადიციები აქვს ამ მიმართებით და სწორედ ამიტომ ეძახიან მას სპორტულ რესპუბლიკას. ჩვენ გვყავდა და გვყავს სპორტსმენთა ისეთი მაღალი რანგის არმია, რომელმაც არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო აღიარებაც მოიპოვა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ჩვენი სპორტსმენების სახელები, მათი სპორტული გზა უაღრესად კარგი სტიმულის მიმცემი მაგალითია მომავალი თაობისთვის.

მართალია, არ ვივიწყებთ ჩვენს სახელოვან სპორტსმენთა სახელებს. ვაწყობთ მათ მემორიალებს, მათი სახელობის თასების გათამაშებას, სასტენდო გამოფენებს და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ არის საკმარისი. დღევანდელ ეტაპზე უკვე დროული და აუცილებელიცაა შეიქმნას ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური მუზეუმი. დროულია იმიტომ, რომ ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს მსოფლიო მასშტაბის აღიარებულ სპორტსმენთა ისეთი პლეადა, რომელიც უდაოდ იმსახურებს ასეთ მუზეუმს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური მუზეუმი ხელს შეუწყობს მომავალი თაობის დაინტერესებას, მათს ფიზიკურად სწორი გზით აღზრდას, რაც ესოდენ აუცილებელია კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბებისთვის. უდაო ჭეშმარიტებაა, რომ აღნიშნული მუზეუმი იქნება მომავალი თაობის ფიზკულტურული და სპორტული აღზრდის დიდი სკოლა, მათი დავაჟკაცების მასტიმულირებელი ასპარეზი.

გ. ფაილოძე.

სარედაქციო ფოსტა

რედაქციისაგან: ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური მუზეუმის დაარსების იდეა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ წარმოიშვა, როცა სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო საქართველოს სპორტსმენთა მიღწევების ფოტოგამოფენა.

დღეს უკვე გადაწყვეტილია ასეთი მუზეუმი მოეწყოს თბილისის სპორტის სასახლეში. სასახლის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. შიოშვილმა გვითხრა:

„სამუშაოები დაწყებულია. დავამზადეთ ესკიზები, გამოვყავით ორი დარბაზი, სადაც სპეციალისტები უკვე მუშაობენ.

გადაწყვეტილი გვაქვს, სპორტის სასახლის ფოიეში მოვაწყოთ მუზეუმის ძირითადი ექსპონატების გამოფენა, სამუშაოები 2-3 თვეში დამთავრდება".

ეროვნული ბიბლიოთეკა





სურათებზე: მარცხნივ — შეხვედრის მომენტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მექსიკის გუნდებს შორის. შეტევაზე არიან გერმანელი ფეხბურთელები (თეთრ მაისურებში); ჰოლანდიისა და პერუს გუნდების მატჩის ეპიზოდი. ბურთისთვის იბრძვიან პერუელი კიგრა და ჰოლანდიელი ნეესკენსი (მარჯვნივ). იუპი-საკდესის ფოტო.

მსოფლიოს XI ჩემპიონატი

დებულებიდან

Argentina'78

თუ ფეხბურთში მსოფლიოს XI ჩემპიონატის წინასწარ ჯგუფებში მონაწილეებმა დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობის მინიჭება მოხდება შემდეგი მაჩვენებლებით:

1) გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა,

2) გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა.

თუ გუნდებს ეს მაჩვენებლებიც თანაბარი ექნებათ, მეოთხედფინალში გასვლის საკითხი გადაწყდება წილისყრით.

მეოთხედფინალურ ჯგუფებში ქულებისა და ზემოთმოყვანილი მაჩვენებლების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიეცემა მას, ვინც უფრო მაღალი ადგილი დაიკავა წინასწარ ჯგუფურ ტურნირში და თუ საკითხი ამით არ გაირკვა, მოხდება წილისყრა.

თუ მატჩი III ადგილისთვის დამთავრდა ფრედ, ინიშნება დამატებითი დრო — 30 წუთი, რის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესრულდება დამატებითი პენალტების სერიები.

ფინალური მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი დრო — 30 წუთი. თუ გამარჯვებული ამ შემთხვევაშიც არ გამოვლინდა, 27 ივნისს მატჩი ხელახლა შედგება. თუ დამატებითი მატჩიც ფრედ დამთავრდა, გამარჯვებულის საკითხს გადაწყვეტს პენალტები.

კალეიდოსკოპი

ჩემპიონატისთვის გამოყოფილი [illegible] მსაჯი იძულებული იყო დროზე ადრე დაეტოვებინა არგენტინა. მიზეზი — არასაკმარისი ფიზიკური მომზადება. ერთერთმა მათგანმა, იუგოსლაველმა [illegible]. მაქსიმოვიჩმა, სირბილის დროს ფეხიც კი მოიტეხა.

* * *

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე 352 ფეხბურთელს შორის ყველაზე უფროსი არის ჰოლანდიელთა მეკარე ი. იონგბლოდი. იგი 38 წლისაა. ასაკის მიხედვით ჰოლანდიელებს მეორე რეკორდიც ეკუთვნით — მათი გუნდის საშუალო ასაკი 27,64 წელია. ყველაზე ახალგაზრდა გუნდი მექსიკამ გაგზავნა — 23,59 წელი.

* * *

XI ჩემპიონატის მაყურებელი მოწმე გახდება მე-1000 გატანილი გოლისა. მსოფლიო ჩემპიონატების 48 წლის მანძილზე გატანილი იქნა სულ 948 ბურთი. პირველი გოლი 1930 წლის 13 ივნისს მონტევიდეოში გაიტანა მაკ გიმ (აშშ), მე-500 გოლი — 1958 წელს შვეციაში რანმა (გფრ), 1974 წელს იასალდემ (არგენტინა) — მე-900. ვინ იქნება მე-1000 გატანილი გოლის ავტორი?

* * *

შოტლანდიელი ფეხბურთელები რიუჯი, ჟორდანი და ჯონსტონი არგენტინის პოლიციის მიერ დაკავებული იქნენ მაშინ, როცა სამივენი ფანჯრიდან გადადიოდნენ საკუთარ ნომრებში. როგორც შემდგომში გამოირკვა, ამ ტრიოს სასტუმროში შესასვლელი სპეციალური საშვები ოთახში დარჩენოდა.

ისევ ფეხბურთი მოულოდნელობანი

ფეხბურთში მსოფლიოს XI ჩემპიონატის წინასწარ შეხვედრებში, ისევე როგორც პირველში, II ტურშიც აღინიშნა მოულოდნელი შედეგები.

ჩემპიონატის დაწყების წინ საერთო აზრი იყო, რომ ყველაზე ძლიერია III ჯგუფის შემადგენლობა და პროგნოზებში ასახელებდნენ სხვადასხვა გუნდებს, რომლებიც გააგრძელებდნენ ბრძოლას მსოფლიო თასისთვის, მაგრამ ამ პროგნოზებში თითქმის არავინ აქცევდა ყურადღებას ავსტრიის ნაკრებს. მხოლოდ ბრაზილიელთა მწვრთნელმა კ. კუტინიომ თქვა, რომ ამ ჯგუფიდან გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავლენ ბრაზილიელები და ავსტრიელები, რომელთა თამაში მან ყურადღებით შეისწავლა. თუ რამდენად კარგად შეისწავლა კ. კუტინიომ ავსტრიელ ფეხბურთელთა თამაში, ეს გამოჩნდება ამ ორი გუნდის მატჩში 11 ივნისს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მას ექნება მხოლოდ ბრაზილიელთათვის, ვინაიდან ავსტრიის ნაკრებმა, მოიგო რა პირველი ორივე შეხვედრა, როგორც მინიმუმ II ადგილი გაინაღდა ჯგუფში.

ერთადერთი გოლი ავსტრია-შვეციის მატჩში შესვენებამდე 3 წუთით ადრე გაიტანა ევროპული ფეხბურთის ბომბარდირმა, ავსტრიელმა კრანკლმა (41 გოლი ეროვნული ჩემპიონატის 36 მატჩში). ეს მან გააკეთა 11-მეტრიანი დარტყმით, რომელიც დაინიშნა შვეციის გუნდის კაპიტნის ნორდკვისტის უხეში თამაშისთვის.

ავსტრიელთა მწვრთნელი ჰ. სენეკოვიჩი 1958 წელს თვითონ თამაშობდა ამ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში შვეციაში და მას შემდეგ ავსტრიის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში არ მოხვედრილა. სენეკოვიჩმა, რომელიც გუნდს წვრთნის 1976 წლის იანვრიდან, შექმნა ძლიერი და დისციპლინირებული გუნდი. შვედებთან მატჩის შემდეგ მწვრთნელმა განაცხადა, რომ მის ფეხბურთელებს სურვილი გაუჩნდათ იბრძოლონ პირველობის მედლებისთვის. „ჩვენ დავრწმუნდით, — აღნიშნა მწვრთნელმა, — რომ სხვებზე უარესად არა ვართ მომზადებული და ბევრს ვჯობივართ კიდეც. არ ვაპირებ შემადგენლობის შეცვლას ბოლო მატჩში ბრაზილიელებთან და შევეცდებით მოვუგოთ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს“.

ჰ. სენეკოვიჩი ნაკრებთან მუშაობას აღარ აპირებს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ და კონტაქტს დადებს ესპანეთის „რეალ-ბეტისთან“.

ბრაზილიელებმა არგენტინაში ჯერჯერობით ვერ შეძლეს ვერც ერთი გამარჯვების მოპოვება. მათ ფრედ ითამაშეს ესპანელებთან — 0:0, ამასთან ორივე გუნდმა ამ მატჩში ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა. ფეხბურთელები აღნიშნავენ მარ-დელ-პლატას სტადიონის საფეხბურთო მინდვრის ძალზე უხეირო მდგომარეობას, რომელიც პრაქტიკულად უვარგისია სათამაშოდ.

კ. კუტინიოს აზრით ბრაზილიელთა თამაშში არ ჩანს დამაჯერებლობა, განსაკუთრებით უფერულია ნახევარდაცვის ხაზი, მაგრამ გუნდი ყველაფერს გააკეთებს ავსტრიელებთან შეხვედრაში. ეს მისი ერთადერთი შანსია.

ისევე, როგორც III ჯგუფში, რთული სატურნირო მდგომარეობაა მეოთხეშიც, სადაც პერუსა და ირანის გუნდებს პროგნოზისტთა უმეტესობა აუტსაიდერთა რიგებს აკუთვნებდა. მაგრამ პერუელებმა ჯერ დაამარცხეს შოტლანდიელები, შემდეგ კი თანაბარ დონეზე ეთამაშნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს ჰოლანდიელებს და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0. „ჩვენთვის ეს ფრე გამარჯვებაზე ნაკლები არაა. — განაცხადა პერუელთა მწვრთნელმა მ. კალდერონმა. — ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შოტლანდიელებთან მოპოვებული წარმატება შემთხვევითი არ იყო და გათამაშების II წრეში აუცილებლად გავალთ“.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პერუელებმა შეძლეს ჰოლანდიელთა უპირატესობის ნეიტრალიზება შუა მინდორში, რითაც მეტოქეს მოუსპეს მთავარი კოზირი.

სიურპრიზით აღინიშნა ირანის ნაკრების მატჩი შოტლანდიელებთან — 1:1, თუმცა აქ უფრო ბრიტანელ ფეხბურთელთა სუსტ თამაშზე შეიძლება ლაპარაკი. მათ ფაქტიურად გოლი არ გაუტანიათ. ანგარიში გაიხსნა ირანელი ეშკანდარიანის მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლით, რის შემდეგ თანაფარდობა აღადგინა დანაიფარდმა.

შოტლანდიელთა მწვრთნელმა ა. მაკლეოდმა პრეს-კონფერენციაზე აღიარა, რომ მისი გუნდისთვის მსოფლიო ჩემპიონატი ალბათ უკვე დამთავრებულია. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს სერიოზულად მოპყრობოდნენ მეტოქეებს, რადგან ეგონათ, რომ იოლად მოიპოვებდნენ გამარჯვებას. (საკდესი).

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 ივნისისთვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	2	2	0	0	5—2	4
არგენტინა	2	2	0	0	4—2	4
საფრანგეთი	2	0	0	2	2—4	0
უნგრეთი	2	0	0	2	2—5	0

II ჯგუფი

გფრ	2	1	1	0	6—0	3
პოლონეთი	2	1	1	0	1—0	3
ტუნისი	2	1	0	1	3—2	2
მექსიკა	2	0	0	2	1—9	0

III ჯგუფი

ავსტრია	2	2	0	0	3—1	4
ბრაზილია	2	0	2	0	1—1	2
შვეცია	2	0	1	1	1—2	1
ესპანეთი	2	0	1	1	1—2	1

IV ჯგუფი

ჰოლანდია	2	1	1	0	3—0	3
პერუ	2	1	1	0	3—1	3
შოტლანდია	2	0	1	1	2—4	1
ირანი	2	0	1	1	1—4	1

* * *

წინასწარ ჯგუფებში დარჩენილი მატჩების კალენდარი ასეთია: 10 ივნისი. იტალია — არგენტინა, საფრანგეთი — უნგრეთი, მექსიკა — პოლონეთი, ტუნისი — გფრ. 11 ივნისი. შვეცია — ესპანეთი, ბრაზილია — ავსტრია, პერუ — ირანი, შოტლანდია — ჰოლანდია.



სურათზე: არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

აპ-საკდესის ფოტო.

გაუჩიტოს ტალღაზე



● არგენტინაში აცივდა. ამას განსაკუთრებით განიცდიან ბრაზილიელები და ირანელები. მსოფლიოს ექს-ჩემპიონები, მაგალითად, ტანზე ორ-ორ სავარჯიშო კოსტიუმს იცვამენ, ხოლო ირანელი ფეხბურთელები ვარჯიშს დარბაზში ატარებენ.

● პერუს გუნდის შანსები ჩემპიონატის სტარტის წინ დიდად არ ფასობდა და 1:40-ს უდრიდა. შოტლანდიელებთან გამარჯვების შემდეგ კი პერუელების შანსი ერთობ გაიზარდა — 1:8. ტუნისის ნაკრების შანსები მექსიკელებთან მოგების შემდეგ 1:1000-დან გაიზარდა 1:100-მდე.

● როგორც ცნობილია, მსოფლიოს მომავალი, 1982 წლის ჩემპიონატი გაიმართება ესპანეთში, ხოლო 1986 წლისა — კოლუმბიაში, 1990 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად [illegible] და ჰოლანდიამ, 1994 წ. — ავსტრია, უნგრეთი და იუგოსლავია, 1998 წ. — აშშ და კანადა. ახალ საუკუნეში (2002 წელს) მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზე პირველებმა განაცხადი ბრაზილიელებმა შეიტანეს.

● მსოფლიოს XI ჩემპიონატის მატჩს პოლონეთისა და გფრ-ის ნაკრებთა შორის 80 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. საინტერესოა, რომ პირველი ჩემპიონატის (1930 წლის 13 ივნისი) მატჩს საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრებთა შორის სულ 5 ათასი კაცი დაესწრო.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

I ჯგუფი

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ წინ იყვნენ სპარტაკელები — 2:0. (ა. კოზინი, ვ. ქოზაევი). შესვენების შემდეგ ყურაშვილმა და სანაიამ შეძლეს ორივე გოლის გაქვითვა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 4:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

გამარჯვებულთა მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გლინიანოვმა, რომელიც სტუმრების კარში გატანილი ოთხივე გოლის ავტორია. ერთადერთი ბურთის გაქვითვა შეძლო ცირეკიძემ.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:1. მსაჯი ლ. სიმონიშვილი (რუსთავი).

მასპინძლების რამდენიმე შეტევას არაზუსტი გადამწყვეტი დარტყმების გამო შედეგი არ მოჰყოლია, სამაგიეროდ საჩხერელებმა კარგად გამოიყენეს კონტრშეტევა 78-ე წუთზე და გაგუას მიერ გატანილი ბურთის მეოხებით გაიმარჯვეს.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა გაგუამ. შესვენების შემდეგ ტყიბულელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ შეძლეს საპასუხო გოლის გატანა.

ასკ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).

მატჩის ბედი გადაწყვიტა გიორგაძის მიერ არმიელთა კარში გატანილმა გოლმა.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მზიური“ (გალი) 0:2. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

„ივერია“ (ხაშური) — „სპარტაკი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 0:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

თერჯოლელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და შეძლეს 2 ქულის აღება.

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „იბერია“ (ქარელი) 5:0. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი“	17	10	6	1	29—8	26
„კოლხ“. ფ.	17	11	3	3	32—9	25
„მზიური“	17	11	3	3	29—13	25
„მეშახტე“	16	11	3	2	20—6	25
„მეტალ“. რ.	17	10	4	3	25—12	24
„ჩიხურა“	18	7	5	6	22—14	19
„მაღაროელი“	15	9	1	5	25—19	19
„კოლხ.“ ხბ.	19	6	7	6	15—20	19
„ივერია“ ხ.	19	7	5	7	14—19	19
„ამირანი“	19	7	5	7	15—22	19
პოლ. ინსტ.	19	8	2	9	28—24	18
ასკ თბ.	18	5	8	5	18—15	18
„ენერგეტიკ“.	18	7	4	7	23—22	18
ფიზკ. ინსტ.	17	8	2	7	23—27	18
„სალხინო“	18	5	6	7	19—28	16
„სპარტ“. თბ.	17	5	5	7	16—20	15
„სქური“	19	5	4	10	21—26	14
„მეტალ“. ზ.	18	5	3	10	23—26	13
„ნადიკვარი“	17	3	7	7	16—24	13
„ეგრისი“	19	3	7	9	13—23	13
„სპარტ.“ ცხ.	18	3	6	9	17—23	12
„დურუჯი“	18	4	2	12	11—31	10
„იბერია“ ქ.	18	4	2	12	13—36	10

საჯარიმო დარტყმა

განვლილ ტურში ერთმანეთთან მინდორზე გამართული მუშტი-კრივისთვის გაძევებული იქნენ ტყიბულელი ა. ბარბაქაძე და გეგეჭკორელი მ. გაგუა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია საჩხერელი ფეხბურთელი უ. ქანთარია.

• • •

ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის საქართველოს თასის გათამაშებისა და რესპუბლიკური ზონალური პირველობების განაცხადები ფეხბურთის სამმართველოში უნდა წარდგენილ იქნას ა. წ. 1 ივლისამდე.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ფეხბურთი

მძლეოსნობა

ქალებს ამოწმებენ

როგორც ცნობილია, 16-17 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის მსოფლიოს ათობით ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები არიან მოწვეულნი. ისინი ახლა ძალებს შინ და სხვა ქალაქებში გამართულ ტურნირებში ამოწმებენ.

კარლ-მარქს-შტადტში 21 წლის კოხმა 200 მეტრზე რბენაში თავისივე მსოფლიო რეკორდი (20,06) გაიმეორა. შტარკმა ათჭიდში 8205 ქულა მოაგროვა, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონმა ბაიერმა ბირთვი 21,32 მეტრზე ჰკრა. ფუქსის შუბმა 63,52 მეტრი იფრინა.

იუჯინში (აშშ) ამერიკელ სტუდენტთა პირველობაში კინიელმა რონომ 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში 8.12,39 აჩვენა. რ. ედვარდსმა 200 მეტრი 20,16 წამში დაფარა.

სამხტომში ლივერსის შედეგია 17,15.

იტალიის ქალაქ **ტურინში** ჩატარებულ სტუდენტთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სამხტომში გამარჯვებული იაკოვლევის (სსრ კავშირი) შედეგია 16,99 მეტრი. ჰოლანდიელმა ვულარდმა სიმაღლეზე ხტომაში თავისი ქვეყნის რეკორდი (227 სმ) დაამყარა.

ვარშავაში პოლონელმა რაბშტინმა 100 მეტრზე თარჯრბენში პოლონეთის რეკორდი გააუმჯობესა — 12,61. წინასწარ გარბენში მან 12,55 წამი აჩვენა, რაც მსოფლიო რეკორდს აღემატება, მაგრამ ზურგქარის სისწრაფე დასაშვებს აღემატებოდა, ამიტომ რეკორდად არ აღინუსხება.

ბუქარესტში რუმინელმა პანაიტმა სიგრძეზე ხტომაში წლევანდელ სეზონში მსოფლიოში მეორე მაჩვენებელი მოიპოვა — 671 სმ.

ევროპის წლევანდელი ზამთრის ჩემპიონატის ოქროს მედალოსანმა სიმეონიმ (იტალია) მილანში გამართულ შეჯიბრებაში 189 სმ სიმაღლე დაძლია.

სოფიაში გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის“ პრიზების გათამაშებაში 13 ქვეყნის 400 სპორტსმენი იბრძოდა. ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში მოსკოველმა მელნიკმა იმარჯვა — 68,18 მ.

სტოკჰოლმში გაიმართა შვეციის სპორტული კავშირის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომლის პროგრამაში მძლეოსნობაც იყო. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენა მოიგო ბორზოვმა — 10,4. ქალთა შორის იმარჯვა ჰამანმა (გდრ) — 11,2. მოლოტილოვმა 223 სმ სიმაღლე დაძლია და მეორე ადგილს დასჯერდა, ვინაიდან მას აჯობა ბაიერშმიდტმა (გდრ) — 227.

მოსკოვის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ზაიჩუკმა უროს ტყორცნაში წლევანდელ სეზონში მსოფლიოში მეორე შედეგი (78,80 მ) აჩვენა.

თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელთა ტრადიციული ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის რამდენიმე სახეობაა.

სურათზე: ამას წინათ „ლოკომოტივის“ სტადიონზე სპარტაკიადის პროგრამით გამართული მძლეოსანთა შეჯიბრების ერთი მომენტი. ბირთვს ჰკრავს თბილწყალკანალტრესტის გუნდის წარმომადგენელი ლ. ჯინჯიხაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო

პაუზის შესავსებად

სანამ ინგლისში საფეხბურთო არდადეგებია, ზოგიერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა სხვა შეჯიბრებებში მიიღოს მონაწილეობა. მაგალითად, „ბირმინჰემ სიტისა“ და ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ფრენსისი დროებით გადავიდა „მინესოტა კიკერსში“ (დეტროიტი) და აშშ-ს პირველობის 20 მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

2 ქვეჯგუფი

13-28 ივლისს გაიმართება III აფრიკული თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალი. 8 ფინალისტი დაყოფილია 2 ჯგუფად. I — ალჟირი, ეგვიპტე, ლიბია, მალავი, II — ნიგერია, მალი, კამერუნი, განა.

ჯგუფებში გამარჯვებულები გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

III ლიგაში...

მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით (108 მატჩი), ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბ. მური 36 წლის ასაკშიც არ ანებებს თავს ფეხბურთს.

ამას წინათ მან ხელშეკრულება დადო დანიის III ლიგის კლუბ „ფრემადთან“ (ჰერნინგი), სადაც ითამაშებს 1978-79 წლების სეზონში.

„ჰოლანდიურ-ბელგიური“ გუნდი

მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა ჰოლანდიელმა სნაიპერმა გეელსმა, რომელიც აქამდე ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს ბრიუსელის „ანდერლეხტთან“, ეს უკანასკნელი უკვე ნაკლებად ჰგავს ბელგიურ გუნდს. „ანდერლეხტის“ შემადგენლობაში ახლა უკვე 5 ჰოლანდიელია: ჰაანი, დე ბრიი, დიუსბაბა, რენსენბრინკი და გეელსი.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების I კურსზე

ინსტიტუტი ამზადებს ფიზკულტურის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დღის ფაკულტეტზე სწავლების ვადა 4 წელია, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე — 5.

მსურველებმა განცხადებები უნდა შემოიტანონ 20 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით.

ინსტიტუტში მიიღებიან ორივე სქესის, საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი: დღის განყოფილებაზე 35 წლის ასაკამდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე — ასაკის განუსაზღვრელად (ვინც წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს):

დღის განყოფილებაზე:

ა) სპორტული ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, სამბო, ძიუდო, ხელბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, ნიჩბოსნობა, ძალოსნობა, ველოსპორტი, სათხილამურო სპორტი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, სროლის ყველა სახეობა, ჭადრაკი.

ბ) პედაგოგიური ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, მშდ კომპლექსის მრავალჭიდი, სათხილამურო სპორტი.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი

განცხადებები მიიღება სპორტის ძირითად სახეობაში საშუალო სპეციალური განათლების (ფიზკულტურის ტექნიკუმი ან მწვრთნელთა სკოლა) მქონე პირთაგან, ან პროფილით არა ნაკლებ 6 თვის სტაჟის მქონე მომუშავეთაგან.

შენიშვნა: სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებსა და სპორტის ოსტატებს ენიჭებათ იგივე უფლებები, რაც არჩეული სპეციალობით მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1. საშუალო განათლების საბუთი (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; (მომუშავეთათვის დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ); 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ექვსი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ); 6. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის არჩეულ სახეობაში; 7. მშდ წიგნაკი; 8. დღის განყოფილებაზე შემსვლელებს თუ საშუალო სასწავლებელი (სკოლა) წლეულს არა აქვთ დამთავრებული, როგორც წესი, მოეთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 6 თვისა ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ. ინსტიტუტში ჩარიცხვის მსურველებმა პირადად უნდა წარმოადგინონ: პასპორტი (სოფლის მცხოვრებთათვის პასპორტის მაგიერ ნებადართულია სახალხო დეპუტატების სოფლის საბჭოების ცნობისა და დაბადების მოწმობის წარმოდგენა), სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი უნდა იქნას დახასიათება გაცემული პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს დახასიათებას აძლევენ სკოლის დირექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის აუცილებელი არ არის დახასიათება სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისგან.

ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე შემსვლელნი განცხადების შეტანისას წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, დამოწმებულს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეები — ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ბოლო ორ წელიწადში.

მისაღები გამოცდები ტარდება 1-20 აგვისტოს შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის, სპეციალობა (სპორტის არჩეული სახეობა) და ფიზიკური მომზადება.

აბიტურიენტები, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები დაამთავრეს ოქროს (ვერცხლის) მედალზე ან საშუალო სპეციალური სასწავლებლები წარჩინებით, აბარებენ მისაღებ გამოცდას სპეციალობაში (არჩეული სპორტის სახეობა) და ფიზიკურ მომზადებაში.

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით (დადგენილი წესის მიხედვით).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49. ტელეფონი: 22-00-76 და 23-20-05.

ველოსპორტი

ქალაქ იაროსლავლში მიმდინარე საბჭოთა კავშირის იუნიორ ველომრბოლელთა შეჯიბრებაზე ტრეკზე გუნდურ რბოლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ი. ზიმბკოვმა II ადგილი დაიკავა, საქართველოს მრბოლელთა გუნდმა კი — III.

ფარიკაობა

ლვოვში დაიწყო მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატი. რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობაში მეორე წელია ზედიზედ ჩემპიონი გახდა 23 წლის კიეველი ვ. სმირნოვი. ვერცხლის მედალი ერგო გორკელ ვ. დენისოვს, ხოლო ბრინჯაო — მინსკელ ვ. რომანკოვს.

კალათბურთი

საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფმა მექსიკის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა მეორე მატჩი წააგო სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან — 44:75.

რედაქტორი ა. ბასილაია.

სპორტულ ბაზებზე

რეგბი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **11 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. „ელვა“ (თბილისი) — სსა (მონინო).** დასაწყისი 17 სთ. **„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფილი“ (მოსკოვი).** დასაწყისი 18 სთ. 30 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-62; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-68; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07881